

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

23 ოქტომბერი 2014 წელი

ქ. ბათუმი

**სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ქეთევან ჯიქია, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე და თამარ ხოზრევანიძე.

**არ ესწრებოდნენ:** გია გარსევანიშვილი.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგის პროექტი:**

1. დადგენილება - „უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

2. სხვადასხვა.

**აზრი გამოთქვას:** კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 5;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

## დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება - „უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

2. სხვადასხვა.

### 1. დადგენილება

„უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა „უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტი

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

**მიღებულია დადგენილება:**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის N2 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 31.12.2013 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010320040.34.059.016015).

**მუხლი 2.** ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

არჩილ მიქელაძე

კომისიის მდივანი

ქეთევან ჯიქია